ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1678039

ნომერი: AR1274615

თარიღი : 21.12.2014

გაცემის თარიღი : 09.01.2015

გაცნობის თარიღი : 11.01.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/49) / ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვეთი 08/088) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ხაბარელი პ/ნ 01008018551
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75ბ ბ. 4

ორგანიზაცია:
- შპს 'ოლიმპი პლიუს' კოდი: 205165550

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

2014 წლის 21 დეკემბერს AR1274615განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე მამუკა ხაბარელმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში, ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ (ნაკვეთი #8/49) / ილია ჭავჭავაძის გამზირზე, #49–ში (ნაკვეთი #08/088), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.

14.07.008.095) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა.

სამსახურმა საკითხი ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი #48) განსახილველად.

„ზონალური“ კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის საკითხს.

“ზონალური კომისიის“ 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომის (ოქმი #48) რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე მამუკა ხაბარელს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში, ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ (ნაკვეთი #8/49) / ილია ჭავჭავაძის გამზირზე, #49–ში (ნაკვეთი #08/088), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.07.008.095) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.